ოქმი:**ო63. 63231562**
თარიღი:**05/06/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი N4

სამტრედია 30 მაისი. 2023 წელი**.**

მიმდინარე წლის 30 მაისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ტარიელ ცომაიას თავმჯდომარეობით ჩატარდა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: ტარიელ ცომაია, დავით ჯანელიძე, გივი ჯულაყიძე, ვალერიანე ფოცხვერია, ზაზა ადეიშვილი, პაატა კოხრეიძე, ქეთევან კუტალაძე, ჯონი ახობაძე.

დღის წესრიგი:

1.სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 24 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

2**.** რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 2 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

3. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

4**.** სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს N5/24490 წერილობითი მომართვის განხილვა.

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

5. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს N91751 წერილობითი მომართვის განხილვა.

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

6. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (8) ხმით, კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი (8) ხმით იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 24 პროექტის მოწონების შესახებ.

ტარიელ ცომაია - წარმოგიდგენთ პროექტებს:

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)		პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა (რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
		სულ	მ.შ თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	
	1	2	3	4	5	6
1	პაპავასა და მაიაკოვსკის მე-2 ჩიხს შორის არსებული ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია	13,666.00	13,666.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
2	სოფ. ჩხენიშში ე.წ. ხარებავების ქუჩის ბოლოს არსებული დაზიანებული ხიდ ბოგირის რეაბილიტაცია	33,709.00	33,709.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
3	მახჯგალაძის ქ. N43-ის მიმდებარედ რკ. ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა	34,329.00	34,329.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
4	შუა ბაშში იხეზა კიკვიძის ჩიხის მახლობლად რკ. ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა	21,263.00	21,263.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
5	შუა ბაშში მეორე ეჩრის მიმართულებით მიმავალ გზაზე I ჩიხში ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა	54,103.00	54,103.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
6	თაშარ თავაძის ქუჩის გადასახვევიდან ამირან ბახტაძის ქუჩაზე სოკარის ნავთობსაცავამდე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა	500,125.00	25,007.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	475,118.00
7	სოკარის ნავთობსაცავის მიმდებარედ ძმები გოგიების ქუჩაზე მდ. ლოღობაზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია	99,416.00	4,971.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	94,445.00
8	ამირან ბახტაძის ქ. N161 და N162-ის მიმდებარედ ახალი	25,872.00	25,872.00	2023 წლის	2023 წლის	0

	მილის მოწყობა			მაისი	ოქტომბერი	
9	ბახტაძის ქუჩის N15 და N17 -ის მიმდებარედ არსებულ ხიდზე მოაჯირის მოწყობა	10,852.00	10,852.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
10	ოდილავაძის ქუჩის გაგრძელებაზე და სუხიშვილის ქუჩის მე-3 ჩიხის მოხრეშვა	13,611.00	13,611.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
11	სოფ. ხიხუაკუთხეში ე.წ. ,,კოტურაში" საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	7,293.00	7,293.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
12	სოფ. ჩხენიშში ე.წ. ,,კოტურაში" საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	5,241.00	5,241.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
13	სოფ. ჩხენიშში ე.წ. ,,აეროდრომის" საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	13,711.00	13,711.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
14	სოფ. ნაბაკევში ე.წ. ,,ბუკნარაში" საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	2,917.00	2,917.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
15	ოფეთის ადმ. ერთეულში ე.წ. ,,ჭიაფერას" საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	52,513.00	52,513.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
16	საჯავახოს ადმ. ერთეულში ე.წ. ,,ორპირის" უბანში საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	20,422.00	20,422.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
17	ბაშის ადმ. ერთეულში ე.წ. ,,ბამურის" სასოფლო სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	29,174.00	29,174.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
18	გომის ადმ. ერთეულში ე.წ. ,,ტაბაკაში"საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	74,686.00	74,686.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
19	გომის ადმ. ერთეულში ე.წ. ,,კეჭნარაში"საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	65,642.00	65,642.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
20	გომის ადმ. ერთეულში მეორე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	61,266.00	61,266.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
21	საჯავახოს ადმ. ერთეულში ე.წ. ,,რეჭეს" უბანში გზის მოხრეშვა	7,244.00	7,244.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0
22	გაძოხიხებულის ადმ. ერთეულში ე.წ. ,,დიხაშხოს"ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	32,091.00	32,091.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0

23	საჯავახოს ადმ. ერთეულის სოფ. ჭოგნარში ბეტონის გზის გასწვრივ რკ/ბეტონის მოხოლითური კუვეტის მოწყობა	64,891.00	3,245.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	61,646.00
24	ყოფილი ,,დათვის კალონკის" მიმდებარედ საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	62,551.00	62,551.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	0

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (8) ხმით, ეთანხმება საკითხის გატანას ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 2 პროექტის მოწონების შესახებ.

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)		პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა (რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
		სულ	მ.შ. თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	
	1	2	3	5	6	7
1	ქ. სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე N7-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა	89,071.00	4,454.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	84,617.00
2	ქ. სამტრედიაში, ჩერეთლის ქუჩის N1 ბინის სამხრეთ მხარეს არსებული სკვერის რეაბილიტაცია	154,294.00	7,715.00	2023 წლის მაისი	2023 წლის ოქტომბერი	146,579.00

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (8) ხმით, ეთანხმება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი პროექტის მოწონების შესახებ.

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)		პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა (რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
		სულ	მ.შ თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	
	1	**2**	**3**	**5**	**6**	**7**
	ქალაქ სამტრედიაში,					

1	რობაქიძის ქუჩაზე და რობაქიძის ქუჩის მე-3 ჩიხში მდებარე მინისტადიონის რეაბილიტაცია	79,070.00	4,162.00	მაისი	ოქტომბერი	83,232.00

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (8) ხმით, ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

<u>დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს N5/24490 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 7 სოფლის ამბულატორიის უძრავი ქონების ა.(ა).ი.პ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის საკითხს.

მუნიციპალიტეტი	სოფელი	ამბულატორია	საკადასტრო კოდი
სამტრედია	გომი	გომი	34.12.47.046.01.500
სამტრედია	გორმაღალი	გორმაღალი	34.14.42.016.01.500
სამტრედია	იანეთი	იანეთი	34.07.45.037.01.504
სამტრედია	კულაში	კულაში	34.04.41.059.01.501
სამტრედია	ნაბაკევი	ნაბაკევი	34.03.53.019.01.502
სამტრედია	ნაბაკევი	ნაბაკევი	34.03.53.019.01.500
სამტრედია	ტოლები	ტოლები	34.10.48.309.01.502

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (8) ხმით, ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

<u>დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს N91751 წერილობითი მომართვა.

ტარიელ ცომაია - წერილობითი მომართვიდან ვიგებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - "სააგენტოს") წარედგინა ჩვენი, 2023 წლის 14 მარტის № 62-622307370 მომართვა (სააგენტოს დოკუმენტბრუნვის პროგრამაში რეგისტრაციის ნომერი № 63104/17), რომლის თანახმად მოთხოვნილია ინფორმაციის დაზუსტება სააგენტოს 2023 წლის 8 თებერვლის № 25422 წერილთან (დაუმისამართებელ დასახლებებში ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების ინიციატივა) დაკავშირებით. კერძოდ შემდეგ ობიექტზე: "სოფელი ახალსოფელი, მე-7 ქუჩა" და "ქალაქი სამტრედია ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა".

იმ შემთხვევაში თუ სამტრედიის მუნიციპალიტეტი დაადასტურებს ინფორმაციას, რომ სოფელ ახალსოფლისთვის გამავალ გზის მონაკვეთის (რომელიც იმავდროულად არის ქალაქ სამტრედიაში სახელდებული ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა) მოქმედ სახელწოდებას წარმოადგენს: "ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა", აღნიშნული მონაკვეთის განმეორებითი სახელდება საჭირო

აღარ იქნება. ასევე, უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდების განკარგულებაში არსებული სახელის დატოვების შესახებ მსჯელობა საჭირო არ არის, თუმცა, სასურველია, რომ თანდართულ სიტუაციურ რუკაზე მითითებული სახელდებული ობიექტი მონიშნული უნდა იყოს, როგორც უკვე მოქმედი სახელწოდების მქონე ობიექტი.

შენიშვნა: პროექტის განახლებული ვერსიის მოწონებისა და შესაბამისი სახელდების განკარგულების გამოცემისას სათანადო დოკუმენტაციის თანდართვის შემთხვევაში, თქვენ დაინტერესებაში არსებული გზის სხვადასხვა მხარეს მცხოვრები მოსახლეობისთვის ქუჩას ექნება ერთი და იგივე სახელწოდება: ქალაქი სამტრედია, ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა და სოფელი ახალსოფელი, ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (8) ხმით, ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ტარიელ ცომაია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია-ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული
ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი